ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

მთაწმინდის რაიონის გამგეობა

KA010104719902616

№45/125760 **18** / მაისი / **2016** წ.

შპს „საქართველოს ტექნიკური ჯგუფი"-ს
დირექტორს ბატონ გიორგი ნოზაძეს.
ს/კოდი: 200236707, მისამართი: ქ. თბილისი,
თემქა, III მ/რ-ნი, IV კვარტ., კორპ. N54, ბ. N19

ბატონო გიორგი,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის გამგეობასთან 2015 წლის 18 აპრილს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N2.9.19/10/040 ხელშეკრულების ფარგლებში შპს „საქართველოს ტექნიკური ჯგუფი"-მა იკისრა ვალდებულება განეხორციელებინა ქ. თბილისში, კ. მესხის ქ. N14-ში, დ. ყიფიანის ქ. N3-ში და დ. ყიფიანის ქ. N5-ში მდებარე საცხოვრებელ სახლებში ხანძრის შედეგად დაზიანებული ნაწილების კაპიტალური შეკეთების სამშენებლო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა.

ზემოაღნიშნული ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.1 პუნქტის შესაბამისად, შესყიდვის ობიექტის მიწოდების საბოლოო ვადად განისაზღვრა 2016 წლის 3 მაისი, ხოლო აღნიშნული ობიექტის მიწოდება თქვენს მიერ მოხდა 2016 წლის 16 მაისს.

ურთიერთშორის გაფორმებული ხელშეკრულების 8 მუხლის 8.2 პუნქტის თანახმად მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას შესყიდვის ობიექტის (ნაწილის) მიწოდების ვადის დარღვევის შემთხვევაში გადაუხადოს პირგასამტეხლო შემსყიდველს ხელშეკრულების საერთო ღირებულებვის 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N2.9.19/10/040 გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, გთხოვთ, უზრუნველყოთ შესყიდვის ობიექტის მიწოდების საბოლოო ვადის 13 დღით გადაცილების გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდა, რომელიც შეადგენს 40,56 (ორმოცი ლარი და ორმოცდათექვსმეტი თეთრი) ლარს, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ღირებულების (3120,00 სამი ათას ას თორმეტი ლარი) 0.1% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

პირგასამტეხლოსათვის გათვალისწინებული თანხა უნდა ჩარიცხოთ სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე : ანგარიშის კოდი - 200122900, ხაზინის კოდი - TRESCE22, შემოსულობების სახაზინო კოდი - 300773287, გადახდის დანიშნულება - შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლო და წარმოადგინოთ სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე პირგასამტეხლოს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

პატივისცემით,

გამგებელი

გელა არჩვაძე